სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/76

ქ. თბილისი 29 აპრილი 2020წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ზაზა ბუაჩიძის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წელს განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-04/55 დადგენილებით, უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით, შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანალის, ზაზა ბუაჩიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ზაზა ბუაჩიძის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ჯგუფს მიეცეს დავალება, მოიძიოს, შეისწავლოს და გააანალიზოს ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება სასწავლო და სამეცნიერო პროცესების, ადამიანური რესურსების და ფინანსების ეფექტიანი მართვის კუთხით.
3. სამუშაო ჯგუფს საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვადად განესაზღვროს 2020 წლის 10 ივნისი.
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**